ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება
ქ. მარტვილი

ბრძანება:**ბ58. 58251015**

თარიღი:**11/04/2025**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული , მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ: 41.12.36.459) პრივატიზების მიზნით ელექტორნული უპირობო აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 01 აპრილის N10 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადებული იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული , მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ: 41.12.36.459) პრივატიზების მიზნით. პრივატიზაციისთვის საწყისი თანხის ოდენობა განისაზღვროს 4100 ლარით, „ბე“ 2160 ლარით „ ბიჯი“ 200 ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: აუქციონი გამოცხადდეს 2025 წლის 16 აპრილს 12.00 საათზე და დასრულდეს 2025 წლის 23 აპრილს 16.00 საათზე

3. ბრძანების შესრულება დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას და მანვე უზრუნველყოს სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება ვებ.გვერდზე www.eauction.ge-ზე

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ N 247) გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

თორნიკე ჯანაშია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი